ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი N4

სხდომის ჩატარების დრო: 2026 წლის 26 თებერვალი, 12:00 სთ.
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზი,
ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზირი N3,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N4 სხდომას უძღვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი.

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ჩეჩელაშვილი.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: ამირან კოპალეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, ალექსანდრე თამაზაშვილი, სანდრო ნერგაძე, აკაკი გიორგაძე, იოსებ კუჭავა, მანანა ჩიხლაძე, ალექსანდრე მიქაუტაძე.

სულ : 11 წევრიდან-09 წევრი.

არ ესწრებოდა: გიორგი ჭიღვარია, ელეონორა არჩაია.

სულ: 2 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **ო. ფანცხავა,** ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მ.საცერაძე**, ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი **დ. წიტაიშვილი.**

სხდომა გახსნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

ვალერიან სილაგაძე

/ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი/

2. ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

დავით წიტაიშვილი

/ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი/

3. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

ოთარ ფანცხავა

/საფინანსო პოლიტიკისა

და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი/

4. მიმდინარე საკითხები.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ჩეჩელაშვილმა: დღეს ვატარებთ მორიგ სხდომას, დღის წესრიგის თანახმად პირველი საკითხი ეხება ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის

სამსახურის მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოსმენას.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილეს ქალბატონ მზევინარ საცერაძეს.

მოისმინეს: ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილეს ქალბატონ მზევინარ საცერაძის მოხსენება: მოგესალმებით, ეკონომიკური განვითარების ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის სამსახური აერთიანებს ორ განყოფილებას: 1. ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის განყოფილება; 2. ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილება.

ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გამოყენებულია 07 01 პროგრამული კოდი.

პროგრამული კოდი 07 01 თვითმმართველობის ქონების შეფასება, რეგისტრაცია, დაცვა და ბალანსზე აყვანა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის დაურეგისტრირებელი)(მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე) საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადება ელ. ვერსიით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების მომზადება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხაზოვანი ნაგებობის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადება ელ. ვერსიით. ადგილზე GPS კოორდინატების გადამოწმება. აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან/და აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების /მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მოძრავი ქონება/ აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა, შესაბამისი ზონებისა და ქვეზონების მიხედვით, ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული უძრავი ქონების, მათ შორის: რკინა-ბეტონის კონსტრუქციის, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, წილებისა და აქციების, შპს-ების 100% წილის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა. ამასთანავე, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების /სკვერი, გაზონი, ტროტუარი, ხიდი, მოედანი, პარკი, ნაპირსამაგრი ნაგებობა, გარე განათების კონსტრუქცია, მიწისქვეშა გადასასვლელი, გვირაბი/ სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის, წლიური ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის (1.0 კვ.მ.) საწყისი საფასურის განსაზღვრას.

პროგრამის საბოლოო მოსალოდნელი შედეგია: დაცული მუნიციპალური ქონება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონებადაცული მუნიციპალური ქონება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონება.

2025 წლის პერიოდში სამსახურის მიერ ,,მუნიციპალიტეტის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამიდან" (07 01) - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარების, საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრის და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებისათვის გახარჯული იქნა 68 605.0 (სამოცდა რვაათას ექვსასხუთი) ლარი.

შპს ,,კომპაუდის" მიერ მომზადდა 1 დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ღირებულება 3 200 (სამი ათას ორასი) ლარი. ასევე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს" მიერ წარმოდგენილ იქნა 76 დასკვნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების ღირებულების დადგენის შესახებ. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 52 550.0 ლარი (ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი.

ასევე, ინდ.მეწარმე ,,დავით გოგსაძის" მიერ მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მათ შორის დაურეგისტრირებელი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე) საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები ელექტრონული ვერსიით - 119 ერთეული, ადგილზე გადამოწმდა კოორდინატები - 44 ერთეული, მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები - 2 ერთეული, ხაზობრივი ნაგებობის რეგისტრაციისათვის 6 ერთეული, მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენდა 12 855.00 (თორმეტი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.

2026 წლის იანვარ - თებერვლის თვეში სამსახურის მიერ ,,მუნიციპალიტეტის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამიდან" (07 01) - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარების, საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრის და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების მომზადებისათვის სულ გახარჯული იქნა 3800 (სამიათასრვაასი) ლარი.

შპს ,,კომპაუდის" მიერ მომზადდა 1 დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ღირებულება 3800 (სამი ათას რვაასი) ლარი.

სამსახური ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების გასხვისებას ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, ბიუჯეტში გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების კლება. 2025წ. დაგეგმილი იყო 11მლ.ნ ლარი და გეგმა შესრულდა მთლიანად. ხოლო 2026 წლისათვის დაგეგმილია 12 500 ათასი ლარი. ამჯერად შემოსულია 1 647 000 ლარი. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტის შესრულების მიმართულებით და დაგეგმილი ღონისძიებებით მოხდება ბიუჯეტის შესრულება. მომზადებული საექსპერტო დასკვნების შედეგად 2025 წელს გაიცა 15 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, 2026 წელს გაიცა 7 ერთეული საკუთრების მოწმოობა, სარგებლობაში გადაეცა 9 ერთეული უძრავი ქონება ან მისი ნაწილი. 2026 წლის გეგმის შესასრულებლად ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები და მინიმუმამდე არის დაყვანილი ის რისკი, რომ გეგმა არ შესრულდეს.

აზრი გამოთქვეს

კომისიის წევრი ი. კუჭავა: მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში შემოვიდა 1 647 ათასი ლარი?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: დიახ, თანხა იანვრის თვეში შემოვიდა. 2025 წლის დეკემბრის ბოლოს გამოცხადებული გვქონდა ტენდერი, რის საფუძველზეც თვის ბოლოს შემოვიდა ძირითადი ქონების ღირებულების 30% (საგარანტიო თანხა), ხოლო დარჩენილი ნაწილი ჩაირიცხა 2026 წლის იანვარში.

კომისიის წევრი ს. ნერგაძე: წლის გეგმა გასაგებია — 12 მილიონ 500 ათასი ლარი. თუმცა, კვარტლების მიხედვით ჩაშლილი ფაქტობრივი მაჩვენებლები არ გაქვთ?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: კვარტლურად თანხა გადანაწილებული არ არის. წლის დასაწყისში აუქციონები, როგორც წესი, შეჩერებულია, ვინაიდან ველოდებით ნორმატიული ფასის დამტკიცებას. 2026 წლისთვის ნორმატიული ფასი უკვე დამტკიცებულია საკრებულოს სხდომაზე, რის შემდეგაც შეგვიძლია აუქციონების გამოცხადება. ასევე აღვნიშნავ, რომ სახელმწიფოს მიერ გასხვისებული მიწის საბოლოო ღირებულების 60% ერიცხება ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო თუ მიწაზე განთავსებულია უძრავი ქონება — 40%. აღნიშნული შემოსავლები გათვალისწინებულია წლიურ გეგმაში. ამ ეტაპზე ანჯაფარიძის ქუჩაზე მიწა უკვე გასხვისდა და 800 ათასი ლარი მარტის ბოლოს ჩაირიცხება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: რა პრაქტიკული შედეგი გამოიღო 76 საექსპერტო დასკვნამ — რამდენი ქონება გასხვისდა ან გადაეცა სარგებლობაში?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: 76 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, 2025 წელს დამზადდა 15 საკუთრების უფლების მოწმობა, რაც ნიშნავს, რომ 15 ქონება გასხვისდა. 2026 წელს უკვე გაცემულია 7 საკუთრების უფლების მოწმობა, ხოლო 9 ობიექტი გადაცემულია სარგებლობაში. დამატებით აღვნიშნავ, რომ სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში გვაქვს ხელშეკრულების გადახედვის უფლება და თუ დადგინდა, რომ სარგებლობაში გაცემული ქონების საფასური არ შეესაბამება საბაზრო ღირებულებას, შესაძლებელია მისი კორექტირება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: შპს „კომპავუდის" მიერ მომზადებული დასკვნის ღირებულება 2025 წელს შეადგენდა 3200 ლარს, ხოლო 2026 წელს — 3600 ლარს. რით არის განპირობებული ფასთა ცვლილება?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყოველწლიურად ცხადდება ტენდერი და გამარჯვებული კომპანია მომსახურებას გვიწევს მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ღირებულების საფუძველზე.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: არსებობს თუ არა რისკი, რომ 2026 წლის გეგმა ვერ შესრულდეს?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: ვიმედოვნებთ, რომ გეგმა შესრულდება, ვინაიდან მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: როდესაც მომზადებულია საპრივატიზაციო ნუსხა, აუქციონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ცხადდება, თუ არსებობს დაინტერესებული პირი?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: დიახ, ძირითადად აუქციონი ცხადდება მაშინ, როდესაც არსებობს დაინტერესებული პირი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვაცხადებთ, ვინაიდან ეს გამოიწვევს უსაფუძვლო ხარჯების გაწევას.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: არსებობს თუ არა სხვა მექანიზმი, რათა ნუსხაში არსებული უძრავი ქონება მოქალაქეებისთვის იყოს ხელმისაწვდომი და საჯაროდ ცნობილი, მაგალითად, ადგილზე საინფორმაციო დაფის განთავსების გზით?

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: საინფორმაციო დაფა განთავსებული არ არის, თუმცა გეგმა-ნუსხა ელექტრონულად ქვეყნდება საკრებულოს მიერ დამტკიცებისთანავე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია შევარჩიოთ გარკვეული ობიექტები, გავასაჯაროოთ ინფორმაცია და განვახორციელოთ მათი გასხვისება.

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: რამდენიმე წლის წინ ჩვენ მიერ შერჩეულ ქონებაზე გამოცხადდა აუქციონი, თუმცა დაინტერესებული პირები არ გამოჩენილან. საინფორმაციო დაფების განთავსება დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამჟამად „გუგლ მეფზე" ხელმისაწვდომია ინფორმაცია უძრავ ქონებასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: როგორც ვიცი სასაფლაოთა მეურნეობისათვის მიწის გადაცემა მიმდინარეობს ქვიტირის ტერიტორიაზე

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მ. საცერაძე: სულხან-საბას გამზირი N19 არის დამისამართებული არა, ამჟამად მიმდინარეობს წინასწარ სამუშაოები სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით. გადაცემა არ არის განსახორციელებელი.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე — „ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ" ინფორმაციის ცნობად მიღების საკითხზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე — 9
მოწინააღმდეგე — 0
თავი შეიკავა — 0

დადგინდა ღია კენჭისყრის შედეგად, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის

განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორს ბატონ დავით ციტაიშვილს.

მოისმინეს: ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორის დავით ციტაიშვილის მოხსენება: მოგესალმებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 37 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც ირიცხება 6600 აღსაზრდელი. ბაღებში მოქმედებს სასკოლო მზაობის პროგრამა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიმართულებები. პრიორიტეტიზაცია ხდება ჯანსაღი კვების, ჰიგიენის ნორმების დაცვისა და აღსაზრდელთა უსაფრთხოების საკითხებზე.

- 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე, გამოიცა 1 702 (ათას შვიდას ორი) ბრძანება: თანამშრომლების დანიშვნის, გათავისუფლების, საავადმყოფო ფურცელზე გასვლისა და დახურვის, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებისა და სხვა თანამდებობაზე გადაყვენის შესახებ.
- 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე, განხორციელდა 151 (ას ორმოცდათერთმეტი) შესყიდვა, აქედან 25 (ოცდახუთი) ელექტრონული ტენდერის მეშვეობით და 126 (ას ოცდაექვსი) გამარტივებული წესით.
- ფილიალებისათვის შეძენილ იქნა საკვები პროდუქტები, სანტექნიკური მასალები, ელექტრო-სამონტაჟო მოწყობილობებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ნივთები და საღებავები.
- 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე მეთოდური დარგის კოორდინატორის მიერ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა შედგა მეთოდისტებთან.
- 2025 წლის თებერვლის თვეში რეკომენდაციები მიეცათ მეთოდისტებს კონკურსში „მწვანე ჯილდო" მონაწილეობისათვის.
- 2025 წლის 20 თებერვალს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ჩატარდა საგრანტო პროექტის კვლევა თემაზე: „ზღაპრებიდან ეკონომიკურ აზროვნებამდე". მონაწილეობა მიიღეს N28 და N32 ბაგა-ბაღის სასკოლო მზაობის (5-6 წლიანი) ჯგუფებმა.
- 2025 წლის 12 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში" ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა მიმართ ძალადობის ნიშნები". მონაწილეობას იღებდნენ N 1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20 ფილილის აღმზრდელები.

- 2025 წლის 13 თებერვალს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებთან შედგა შეხვედრა თემაზე: „იმუნიზაციის აქტუალურობა და სეზონური გრიპების მართვა“. შეხვედრას ესწრებოდნენ ოცდაჩვიდმეტივე ფილიალის ექთნები.
- 2025 წლის 18 თებერვალს ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული კვლევის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ოჯახისა და თემის მონაწილეობის კომპონენტის გენდერული ზეგავლენის“ ანგარიშის განხილვაში მონაწილეობას იღებდა ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის კოორდინატორი.
- 2025 წლის 19 თებერვალს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში“ ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ემიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერისა და დაცვის პროტოკოლი სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისათვის“. მონაწილეობას იღებდნენ N21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37 ფილიალის აღმზრდელები.
- 2025 წლის მარტის თვეში ჩატარდა კვლევა თემაზე: „მშობლებთან და თემთან მუშაობა“. მონაწილეობას იღებდნენ N1; 11; 12; 15 ფილიალის მშობლები.
- 2025 წლის 12 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში“, ფონდი „სოხუმის“ მიერ, ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „სოციალური პარტნიორობა ბავშვის კეთილდღეობისათვის“.
- 2025 წლის 19 მარტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში“ ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ემიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერისა და დაცვის პროტოკოლი სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისათვის“. მონაწილეობას იღებდა N1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20 ფილიალის აღმზრდელები.
- 2025 წლის 25 მარტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურისა და ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას“ შორის შედგა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. განხილულ იქნა ბავშვებზე ფოკუსირებული სოციალური პროგრამები და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრევენციის საკითხები. შეხვედრას ესწრებოდნენ ოცდაჩვიდმეტივე ფილიალის მმართველები.
- 2025 წლის მარტის თვეში სან-ჰიგიენური ნორმების დაცვის კოორდინატორისა და ნუტრიციოლოგის მიერ შედგა შეხვედრა ექთნებთან და მნეებთან. მიეცათ რეკომენდაციები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP სისტემის დანერგვისა და განხორციელების ეფექტიანობაზე ბაღებში. დაურიგდათ საკვების, მაცივრის ტემპერატურის, საწყობის ტემპერატურისა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის საზომი თერმომეტრები. მიეცათ განმარტება თერმომეტრების გამართულ მუშაობასა და ჩანაწერების სწორად წარმოების თაობაზე.
- 2025 წლის 15 აპრილს, №29-ე ბაგა-ბაღში ჩატარდა აქტივობა თემაზე: „ფიროსმანი და ბავშვთა უფლებები“.
- 2025 წლის 17 აპრილს, ZOOM-ის მეშვეობით ჩატარდა ტრენინგი: „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის

მაძიებლის თვითშეფასების ფორმის შევსებასთან დაკავშირებით". ტრენინგს უძღვებოდა - ნანა ხითარიშვილი.

- 2025 წილს 29 აპრილს, შედგა შეხვედრა საბჭოს წევრ მშობლებთან. შეხვედრას უძღვებოდა მარიამ ჩიბუხაშვილი.
- 2025 წლის 30 აპრილს, 5 და 6 მაისს, ჩატარდა ონლაინ სასერტიფიკატო ტრენინგი, სახელწოდებით: „როგორ დავნერგოთ კურიკულუმი". ტრენინგს ესწრებოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მეთოდისტები და მმართველები (სულ: 8 პირისგან შემდგარი ჯგუფი). ტრენინგს უძღვებოდნენ, 30 აპრილს - ნინო აფციაური, 5 და 6 მაისს - თამარ თოლორაია.
- 2025 წლის 1 მაისს, №10 ბაგა-ბაღში, ჩატარდა შემეცნებითი აქტივობა ბავშვთა უფლებებზე „რწყილი და ჭიანჭველა".
- 2025 წლის 27 მაისს, 29 მაისსა და 9 ივნისს ZOOM პლატფორმის მეშვეობით, ჩატარდა ტრენინგ-მოდული თემაზე: „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების კვების ორგანიზება და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმის მარეგულირებელი მექანიზმების დანერგვა დაწესებულებებში.
- 2025 წლის 3 ივნისს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში" ჩატარდა ტრენინგი ოცდაჩვიდმეტი ფილიალის აღსაზრდელთა ბებიებისათვის თემაზე: „თავდაჯერებულობა, შესაძლებლობები და საჭიროებების ცოდნა".
- 2025 წლის მაისსა და ივნისში, ყველა ბაღში ჩატარდა თემატური პროექტების პრეზენტაციები.
- 2025 წლის 19 ივნისიდან 28 ივნისამდე, ჩატარდა ათდღიანი სასერტიფიკატო ტრენინგ-მოდული მეთოდისტებისთვის, ახალი კურიკულუმის მიხედვით, თემებზე: „ადრეული განათლების კურიკულუმი"; „თამაში". ტრენინგს უძღვებოდა ტრენერი ნათია კუხალეიშვილი.
- 2025 წლის ივლისის თვეში, ფუნქციონირებას შეუდგა ორი საზაფხულო (მორიგე) ბაღი, რომელიც დაკომპლექტდა 414 (ოთხას თოთხმეტი) აღსაზრდელით (მე-2 ბაღში - 156; 31-ე ბაღში 258)
- 2025 წლის 10-11 ივლისს, საზაფხულო (მორიგე) №2 და №31 ბაგა-ბაღებში შედგა შეხვედრა მშობლებთან.
- 2025 წლის 24 სექტემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მიმოხილვა და 2026 წლის ავტორიზაციის განრიგის პრეზენტაცია; 2. ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB); 3. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოში; 4. ავტორიზაციის პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ჩართულობა; 5. ავტორიზაციის პროცესში გამოვლენილი საუკეთესო ადგილობრივი პრაქტიკების და შესაძლებლობების გაძლიერება.
- 2025 წლის ივლისში საზაფხულო (მორიგე) ბაღებში ჩატარდა სადეზინსექციო, სადერატიზაციო და ქვეწამავლების დამაფრთხობელი სამუშაოები.
- 2025 წლის სექტემბრის დასაწყისში სამუშაო შეხვედრა გაიმართა ექთნებთან. ბაღებში შეტანილ იქნა პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები.

- 2025 წლის პირველი იანვრიდან 1 ივლისამდე, ბაგა-ბაღებში ირიცხებოდა 7120 (შვიდი ათას ას ოცი) აღსაზრდელი. სასკოლო მზაობის ჯგუფი გაიარა 1991-მა (ათას ცხრაას ოთხმოცდა თერთმეტი) აღსაზრდელმა.
- 2025 წლის სექტემბერში ბაგა-ბაღებში ირიცხებოდა 6 253 (ექვსი ათას ორას ორმოცდაცამეტი) აღსაზრდელი, აქედან 3 114 (სამი ათას ას თოთხმეტი) გოგო და 3 139 (სამი ათას ას ოცდაცხრამეტი) ბიჭი.
- 2025 წლის 13 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „მშობლების ცნობიერების ამაღლების შესახებ". ტრენინგს ესწრებოდნენ აღმზრდელები, ლოგოპედები, ფსიქოლოგები და მშობლები.
- 2025 წლის 29 ოქტომბერს შეხვედრა შედგა მნეებთან.
- 2025 წლს 30 ოქტომბერს შეხვედრა შედგა ექთნებთან, 31 ოქტომბერს მმართველებთან, მნეებთან, ექთნებთან და მზარეულებთან, რომლებსაც მიღებული არ აქვთ HACCP-ის სერთიფიკატი.
- 2025 წლის 3 და 4 ნოემბერს ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება". მონაწილეობას იღებდნენ აღმზრდელები (ბაღიდან ერთი აღმზრდელი). ტრენინგს უძღვებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.
- 2025 წლის 12 და 13 ნოემბერს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საავტორიზაციო დოკუმენტების დაწერა სამუშაო რეჟიმში" (ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, შეთანხმებული და შესწორებული; ოთხივე სტანდარტის დეტალურად განხილვა და პრაქტიკაში დანერგვა, დეკლარირება). ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ მმართველები. ტრენინგს უძღვებოდა ინდირა რობაქიძე.
- 2025 წლის 20 და 21 ნოემბერს Zoom პლატფორმის მეშვეობით ფსიქოლოგებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ძალადობის პრევენცია". ტრენინგს უძღვებოდა ნინო ბურძენაძე.
- 2025 წლის 9 დეკემბერს Zoom პლატფორმის მეშვეობით ჩატარდა ტერნინგი თემაზე: „2026-2030 წლების სტრატეგიის 2026 წლის სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით". ტრენინგს უძღვებოდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი სოფიკო მიქაძე. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ მმართველები და აღმზრდელები.
- 2025 წლის 13 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით დისტანციურად თიმსის პლატფორმის მეშვეობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ადრეული ინკლუზიური განათლება". ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ მეთოდისტები, მათ მსვლელობისას შესასრულებლად მიეცათ პრაქტიკული დავალებები. ტრენინგს უძღვებოდა მასწავლებალთა სახლის ტრენერი - სოფიო გოცირიძე.
- 2025 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ბაღებში ჩატარდა გეგმიური სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოები.
- 2025 წლის დეკემბრის ბოლოს ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა ზამთრის აქტივობა. 6 600 (ექვსი ათას ექვსასი) აღსაზრდელს გადაეცა 93 522 (ოთხმოცდაცამეტი ათას ხუთას ოცდაორი) ლარის საახალწლო სასაჩუქრე ნობათი.

- 2025 წლის დეკემბერში ბაღებში ირიცხება 6 600 აღსაზრდელი, აქედან 3143 გოგო და 3457 ბიჭი.2025 წლის 1 იანვრიდან დღმდე მოხდა ავარიული შენობების გამაგრება-რეაბილიტაცია №26, №27 და №33 ბაგა-ბაღებში. დაიწყო №14 ბაღის მშენებლობა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: როდის ამთავრებენ მე-14 ბაღის მშენებლობას?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დ. წიტაიშვილი: მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: 2026 წელს სარეაბილიტაციო ბაღების ჩამონათვალში თუ შედის №29 ბაღის ფილიალი?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დ. წიტაიშვილი: არა. №29 ბაღი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, თუმცა მისი დემონტაჟისთვის საჭიროა შესაბამისი ნებართვა. №29 ბაღისთვის იჯარით გვაქვს აღებული ფართი, სადაც ამჟამად ბავშვები არიან განთავსებული. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დასრულდება N38; N33; N27 ბაღების რეაბილიტაცია და დარჩება 26 და 14 ბაღების შენობები.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: ამჟამად რა მდგომარეობაა ბაღებში, სადმე შიდა სარემონტო სამუშაოები ხომ არ მიმდინარეობს და რა მოსაზრება გაქვთ მე-13 ბაღის შესახებ.

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დ. წიტაიშვილი: ბაღების ინფრასტრუქტურა მართლაც ცუდ მდგომარეობაშია. ჩვენს მიერ შედგენილია ჩამონათვალი წლების მიხედვით, თუ რომელ ბაღებს უნდა ჩაუტარდეთ რეაბილიტაცია. ჩვენთვის ცნობილია №13 და №15 ბაღების მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ერთ უბანშია განთავსებული. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ორივე ბაღის რეაბილიტაციის ერთდროულად განხორციელება ვერ მოხერხდება. რეაბილიტაციის პერიოდში, ერთი ბაღის სარემონტო სამუშაოების დროს, ბავშვები გადანაწილდებიან იმავე უბანში არსებულ სხვა ბაღებში. ამჟამად მიმდინარეობს ბაღების პასპორტიზაცია და გადაწყვეტილია, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც იმსჯელებს და განსაზღვრავს, რომელ ბაღში განხორციელდეს რეაბილიტაცია პირველ რიგში. აგრეთვე გვიახლოვდება ავტორიზაციის პროცესი, რომელიც გაგრძელდება 2030 წლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ბაღები უნდა იყოს გამართული ინფრასტრუქტურის, კვების სტანდარტების, ბავშვთა რაოდენობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადაპტაციისა და სხვა დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით. 2030 წლისთვის ბაღებმა უნდა შეძლონ ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება და სრულფასოვანი ფუნქციონირება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ავტორიზაცია შეუჩერდებათ.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: ავტორიზაცია თუ ეხება პერსონალს?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: მიმდინარე წელს სამმა ბაღმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია. შემოდგომაზე შესაბამისი კომისია მოვა და ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით შეამოწმებს მათ მდგომარეობას. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზაციის მოთხოვნებს სრულად ვერ დავაკმაყოფილებთ, მოგვეცემა გარკვეული დრო არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ავტორიზაციის პროცესისთვის მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა გაიარონ 60-კრედიტიანი ტრენინგი. ჩვენს მიერ მოძიებული იქნა სხვადასხვა ორგანიზაციები, მაგრამ უნდა გამოცხადდეს ტენდერი. ასევე აუცილებელია, რომ აღმზრდელის თანაშემწეთა რაოდენობა დღის განმავლობაში შეესაბამებოდეს აღმზრდელების რაოდენობას. ამჟამად დღის განმავლობაში გვყავს ორი აღმზრდელი, შესაბამისად მათ სჭირდებათ ორი თანაშემწე.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: თუ დაიწყება 25 ბაღის რეაბილიტაცია, მაიტერესებს სად გადაიყვანთ ამ ბაღის აღსაზრდელებს?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: გეოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ვართ 25-ე ბაღთან მიმართებაში, ვინაიდან მიმდებარე ტერიტორიაზე არის ერთადერთი ბაღი ადრე იყო მეორე ბარი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გაიყიდა იმ დათქმით რომ უნდა აშენებულიყო ახალი ბაღი, რაც არ განხორციელდა.

კომისიის წევრი ს. ნერგაძე: თუ ხელშეკრულებით არსებობს აღნიშნული წინაპირობა შეგვიძლია ვიმსჯელოთ იურიდიულ კომისიაზე და მოვთხოვოთ ვალდებულების შესრულება.

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ზუსტად ვერ გეტყვით არის თუ არა ოფიციალურად გაწერილი აღნიშნული შეთანხმება. 25 ბაღის შემთხვევაში ორი გამოსავალი არსებობს შესაძლებელია ბავშვები მიმდებარე ბაღებში გადავანაწილოთ ან იჯარით ავიღოთ ფართი.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: მიმდინარე წელს 5 ბაღის რეაბილიტაციისთვის რეგიონული განვითარების ფონდიდან რა თანხა ჩაირიცხა?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: №27 და №33 ბაღების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 11 მილიონი ლარი, ხოლო საერთო ჯამში 4 ბაღის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 20 მილიონი ლარი.

კომისიის წევრი მ. ჩიხლაძე: ბაღებში დაახლოებით 7000-მდე ბავშვი ფიქსირდება, თუმცა ყოველდღიური დასწრება რამდენია?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ყოველდღიურად დაახლოებით 4000 ბავშვი გვესწრება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: თქვენი კომპეტენციის მიხედვით, სად გიჭირთ და სად გაქვთ ყველაფერი კარგად?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ჩვენი გამოწვევა არის ბაღების ინფრასტრუქტურა.

კომისიის წევრი ს. ნერგაძე: საშუალოდ რამდენი ჯდება ბაღში ერთი ბავშვის შენახვა?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: საშუალოდ, თვეში ერთი ბავშვის შენახვა 400 ლარი ჯდება.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: 2030 წელს იწყება ავტორიზაციის პროცესი — მოესწრება ბაღების რეაბილიტაცია ამ დრომდე?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ერთი ბაღის რეაბილიტაცია მინიმუმ ორ წელს მოითხოვს, რის გამოც ყველა ბაღის დროულად რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება. ამასთან, რეაბილიტაციის პერიოდში აუცილებელია ბავშვების სხვა ბაღებში გადაყვანა, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. შესაბამისად, ავტორიზაციის პროცესი შესაძლოა გახანგრძლივდეს.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: რა თანხა იხარჯება ბავშვთა კვებაზე.

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: კვებაზე ვხარჯავთ 2 (ორ) მილიონ ლარს, თუმცა ტენდერს წელიწადში ორჯერ ვაცხადებთ.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: რა სახეობის ხილი გაქვთ?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: კანონმდებლობით განსაზღვრულია, რა საკვები უნდა მიეწოდებოდეს ბავშვებს. შესაბამისად, ხილის ასორტიმენტში გვაქვს ვაშლი და ვგეგმავთ ბანანის დამატებას.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: ბაღში თანამშრომლების მონიტორინგს ვინ ახორციელებს?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: მონიტორინგს ახორციელებს ბაღის მმართველი. აგრეთვე ადგილზე გვაქვს ტაბელი, რომლის სისწორეს ამოწმებს ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის უფროსი ან ჩემი მოადგილეები. კვების მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი კოორდინატორი.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: სათვალთვალო კამერები გაქვთ ან არის თუ არა აღნიშნულის საჭიროება?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: სათვალთვალო კამერების მონტაჟი დაგეგმილი გვაქვს ახალ რეაბილიტირებულ ბაღებში.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: თითოეული ბაღისთვის აღწერილია არსებული პრობლემები და მოსაწესრიგებელი საკითხები?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: დიახ, აღნიშნული საკითხები აღწერილია, გამოკვეთილია პრიორიტეტებიც, თუმცა ფასთაღრიცხვა ჯერ არ არის მომზადებული, რადგან ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: კვების საკითხთან დაკავშირებით, ტენდერის გამოცხადება როგორ ხდება — ფაქტობრივი მოხმარების (აღრიცხვის) საფუძველზე თუ რეგისტრირებული ბავშვების მონაცემების მიხედვით?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: კვების საკითხთან დაკავშირებით, ტენდერის გამოცხადება ხდება — ფაქტობრივი მოხმარების (აღრიცხვის) საფუძველზე .

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: კვების საკითხთან დაკავშირებით, გრჩებათ თუ არა ნაშთი?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ბაღებში ყოველდღიურად აღირიცხება ბავშვთა რაოდენობა. დილის 10:30 საათისთვის უკვე მაქვს მონაცემები თითოეული ბაღის მიხედვით, თუ რამდენი ბავშვი ესწრება. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ხდება კვების მიწოდება. წლის ბოლოს კი მონაცემები სწორდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. შესაბამისად, ნაშთი არ გვრჩება.

კომისიის წევრი ა. მიქაუტაძე: ავტორიზაციის პროცესსაც შევეხოთ: თქვენს დაწესებულებაში არიან აღმზრდელები, რომლებიც ელოდებიან მასწავლებლის სტატუსის მიღებას. თქვენ ასევე ახსენეთ მათი გადამზადება — რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით? იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიიღებენ მასწავლებლის სტატუსს, აქტუალური გახდება თუ არა მათი მოთხოვნა ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ხელფასების საკითხით დავიწყებ: ბოლო 8 წლის განმავლობაში ხელფასების ზრდა ფიქსირდება, რაც განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან ბაღის თანამშრომლების მიერ გაწეული შრომის დაფასებით. რაც შეეხება სტატუსის მინიჭებას, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. იმ აღმზრდელებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, შეუძლიათ გაიარონ ტრენინგები, რომელთა ხარჯებს ჩვენი სამსახური დაფარავს. ხოლო მათთვის, ვისაც არ აქვთ პედაგოგის დიპლომი, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბაღში მუშაობის 4-წლიანი პრაქტიკა უტოლდება მასწავლებლის დიპლომს.

კომისიის წევრი ა. მიქაუტაძე: თქვენ ახსენეთ აღმზრდელის თანაშემწის დამატება, რამდენი ადამიანი შეიძლება დაემატოს თანაშემწის პოზიციაზე?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: დღეს ჩვენ გვყავს 330 ჯგუფი, შესაბამისად თითოეულ ჯგუფში ერთი ადამიანის დამატება მოგვიწევს, რაც ნიშნავს, რომ ჯამში 330 თანამშრომლის დამატება იქნება საჭირო.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: თანაშეწის ხელფასი რამდენია?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: დარიცხული ხელფასი შეადგენს 1090 (ათას ოთხმოცდაათი) ლარს, ხოლო ხელზე ასაღები თანხა არის 800 (რვაასი) ლარი.

კომისიის წევრი ა. მიქაუტაძე: ზაფხულის პერიოდში ქალაქში ფუნქციონირებს ორი მორიგე ბაღი. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვთა რაოდენობა მეტი იქნება, რა ხდება?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: მორიგე ბაღებთან დაკავშირებით წინასწარ ვაცხადებთ რეგისტრაციას. თუ მოთხოვნა გაიზრდება, შესაბამისად დამატებით ბაღებიც ამუშავდება. წინასწარ ხდება დადგენი რომელი ბაღი იქნება მორიგე, რადგან თანამშრომელი ჩავაყენოთ საქმის კურსში და მშობელმაც გადაწვეტილება მიიღის აწყობს თუ არა ბავშვის მიყვანა კონკრეტულ ტერიტორიაზე.

კომისიის წევრი ა. მიქაუტაძე: მინდა „მაუდის ბაღს“ შევეხო. თუ მის ახლო პერიმეტრზე ბაღის რეაბილიტაცია ვერ ხერხდება, შესაძლებელია თუ არა, რომ ბაღს ჰქონდეს საკუთარი ეზო და დამატებით აშენდეს კორპუსი?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ. წიტაიშვილი: ჩვენ მიერ შესწავლილი ახლო პერიმეტრის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ბაღის აშენება ვერ ხერხდება. შესაბამისად, აუცილებელია არსებული შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია. თავდაპირველად გამოყოფილი იყო შესაბამისი თანხა, თუმცა აღნიშნული თანხით განხორციელდა სხვა ბაღის რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე იმედი გვაქვს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ბაღის მშენებლობა მაინც განხორციელდება.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: კერძო ბაღებთან შედარებით, ერთი ბავშვის მოვლის ღირებულება პრაქტიკულად იგივეა. განსხვავება ის არის, რომ მშობელს თანხის გადახდა არ უწევს. გარდა ამისა, სპორტული სექციებიც უფასოა. შესაბამისად, ქალაქის ბიუჯეტი იხარჯება არა მხოლოდ სახელფასო ფონდზე, არამედ პირდაპირ არის მიმართული მოქალაქეების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე — ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.“ ინფორმაციის ცნობად მიღების საკითხზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე — 9
მოწინააღმდეგე — 0
თავი შეიკავა — 0

დადგინდა: ღია კენჭისყრის შედეგად, ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხი თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელს ოთარ ფანცხავას.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის ოთარ ფანცხავას მოხსენება: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენდა 91 012 524 ლარს.

2025 წლის შესყიდვების განსახორციელებელად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა მომწოდებლებთან გააფორმა 357 ხელშეკრულება.

კონსოლიდირებული ტენდერის, შედეგად დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ, რომელის

ჩატარებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო - შეადგინა 823 384 ლარი.

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულებების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა - 88 517 015 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 1 968 163 ლარი, მათ შორის:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვის გზით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში მიმართვებზე თანხმობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 138 818 ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის №452 განკარგულების შესაბამისად დაიდო 34 ხელშეკრულება 34961176 ლარზე.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბერი N 1955 განკარგულების შესაბამისად დაიდო 16 ხელშეკრულება 14265226 ლარზე.

,,სოციალური ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისთვის სასაჩუქრე ბარათების შესასყიდად დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა - 365 750 ლარი.

,,სოციალური ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისთვის სასაჩუქრე ბარათების და ქალაქ ქუთაისში მცხოვრები, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისთვის საახალწლო ნობათების შესასყიდად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 350 625 ლარი.

საახალწლო და საშობაო ღონისძიებების ორგანიზებისთვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 88 481 ლარი;

ქალაქ ქუთაისში ტრადიციული სახალხო დღესასწაულის ,,ქუთაისობა 2025“ ორგანიზების მიზნით ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 83 190 ლარი.

დღესასწაულის ფარგლებში დაგეგმილ კონცერტში მონაწილე მომღერლების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში მიმართვებზე თანხმობის საფუძველზე, როგორც ექსკლუზიური მიმწოდებლების მომსახურების მიზნით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 34 750 ლარი; დღესასწაულზე მოწვეული სტუმრების მომსახურების მიზნით წარმომადგენლობითი ხარჯებიდან კვებითი მომსახურებისთვის დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 53 523 ლარი, სასტუმრო მომსახურების მიზნით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ 16 650 ლარი და საჩუქრებისთვის დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ 32 602 ლარი.

იუნესკოს ლიტერატურის ქალაქის სტატუსის ეგიდით, ქუთაისში გაიმართა პირველი საერთაშორისო ლიტერატურის ფესტივალი 2025 წლის 28, 29, 30 ნოემბერს, ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 135 830 ლარი; ქ. ქუთაისში, 4 სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოს: 1). ქ. ქუთაისი, ნიკეას მეორე შესახვევის N32 კორპუსი, 2). ქ. ქუთაისი, ნიკეას მეორე შესახვევი N10 კორპუსი, 3). ქ. ქუთაისი, შოთა რუსთაველის N10 მიმდებარედ, 4). ქ. ქუთაისი,დავით აღმაშენებლის N115, მოხდა კედლების მოხატვა, ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 88 500 ლარი;

ქალაქ ქუთაისში, 2025 წლის 11 აგვისტოს, ას საფეხურიანი კიბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პოპულარული ქართველი მუსიკოსების მონაწილეობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში მიმართვებზე თანხმობის საფუძველზე, ფესტივალში მონაწილე ცნობილი ქართველი მომღერლების, როგორც ექსკლუზიური მიმწოდებლების მომსახურების მიზნით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 27 550 ლარი;

ქალაქ ქუთაისში 2025 წლის 13-14 სექტემბერს არსებულ მუხნარის ტყე-პარკში, გაიმართა „ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალი". სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში მიმართვებზე თანხმობის საფუძველზე, ფესტივალში მონაწილე ცნობილი ქართველი მომღერლების, როგორც ექსკლუზიური მიმწოდებლების მომსახურების მიზნით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 86 930 ლარი; „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 11 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისი №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-10 მუხლის საფუძველზე დადებული შეთანხმების შესაბამისად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსებით სკოლების უზრუნველსაყოფად", ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოადგენდა იმ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის (გარდა თბილისისა) შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევა და ხელშეკრულებების დადება. 2025 წელს ერთობლივი ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4 738 960 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დადებული ერთობლივი ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 5 753 ლარი. 2025 წელს სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, სსიპ ქალაქ ქუთაისის N28 საჯარო სკოლიდან - სსიპ ქალაქ ქუთაისის N26 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 67 451 ლარი. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი - ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" („Kutaisi: Integrated Transformation for Sustainable Development") ფარგლებში, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 19 327 ლარი. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი - ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის" („Kutaisi: Integrated Transformation for Sustainable Development") ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 297 809 ლარი. მოწვეული სტუმრების კვებითი და სასტუმრო მომსახურების მიზნით

წარმომადგენლობითი ხარჯებიდან დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 11 575 ლარი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობის (ქ. ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ. #3) დაცვის (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" და "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად), როგორც ექსკლუზიური მიმწოდებლის მომსახურების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში მიმართვაზე თანხმობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 216 000 ლარი სხვა დანარჩენი ღონისძიებებისთვის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან საჩუქრების, კვებითი და სასტუმრო მომსახურებისთვის დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 71 771 ლარი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსთვის არქივის მომსახურების შესასყიდად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა - 15 000 ლარი. აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში (NAT) მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობის მიხედვით გვაქვს შემდეგი სურათი: 108 ტენდერში წინადადება წარადგინა 1-მა პრეტენდენტმა, 54 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2-მა პრეტენდენტმა, 24 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 3-მა პრეტენდენტმა, 28 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 4 -მა პრეტენდენტმა, 6 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 5-მა პრეტენდენტმა, ასევე 6-მა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა 6 ტენდერში, 2 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 7 -მა პრეტენდენტმა, 3 ტენდერში მონაწილეობა მიიღო 8 პრეტენდენტმა, 4 ტენდერში მონაწილეობა მიიღო - 9 პრეტენდენტმა და 4 ტენდერში მონაწილეობა მიიღო - 10 პრეტენდენტმა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე: თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 8,

მოწინააღმდეგე — 0,

თავი შეიკავა — 1.

დადგინდა: ღია კენჭისყრის შედეგად თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიის სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი